

ტანკები

მაიკლ ბრინი

ჯეიმს დ. ბრაუნი და ქრისტოფერ ვალიერი









ტანკები

მაიკლ ბრინი

ჯემს დ. ბრაუნისა და ქრისტოფერ ვალიერის თანაავტორობით

ნოდარ მანჩაშვილის
მთარგმნელობითი
სახელწოდებით

გარდა ფოტოების აღწერებში მითითებული პიროვნებებისა, გვინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ აშშ არმიის პატრონის კავალერიისა და შეიარაღების მუზეუმის (ფორტ ნოქსი, კენტუკის შტატი), ინგლისის ბოვინგტონის ტანკის მუზეუმისა და TACOM-ის ისტორიის განყოფილების თანამშრომლების მიმართ. ასევე მადლობას ვუცხადებთ ავტორებს, რომლებიც წიგნში ვერ მოვიხსენიეთ და რომლებმაც დიდი დახმარება გაგვინიჭეს: ჟაკ ლიტლფილდს, რენდი ტალბოტს, ჯეიმს ეორფორდს, დინ და ნენსი კლეფმანებს და დევიდ ფლერჩერს.

First published in 2008 by Zenith Press, an imprint of MBI Publishing Company, 400 1st Avenue North, Suite 300, Minneapolis, MN 55401 USA.

© Michael Green, 2008

ძართულ გამოსცემაზე მუშაობდნენ:

მთარგმნელი მედეა ჩხაიძე
კონსულტანტი თემურ მიქაუტიძე
რედაქტორი ნოდარ მანჩხაშვილი
დამკაბადონებელი მართა თაბუკაშვილი

© ნოდარ მანჩხაშვილის მთარგმნელობითი სახელოსნო, 2009

ISBN 978-9941-0-1670-7

დზიანიერი დანიელე კარნიტო

დაბეჭდილია ჩინეთში

ბარა ყდაზე:

120 მმ ძირითადი ქვემეხი შეიარაღებული მძივე ტანკი M103 აშშ არმიის საშუალო ტანკებს უნდა დახმარებოდა და საბჭოთა მძივე ტანკები განედგურებინა, რომელთა შორის იყო 122 მმ ქვემეხით აღჭურვილი IS-III. TACOM-ის ისტორიის განყოფილება

1 გვერდი

ტყის ფონზე გამოსახულია ერთ დროს ბელგიის არმიის კუთვნილი ტანკი „ლუპარდ I“, რომელიც ამჟამად ეკრძო კოლექციონერს ეკუთვნის. ბელგიის არმიამ 1968 წელს ვერძანელი მწარმოებლისაგან ამ ტანკის 334 ერთეული შეიძინა. კრისტოფ ვალიერი

საბიტულურ გვერდზე:

რუსეთის ფედერაციის არმიის შეიარაღებაში რჩება 10000 ერთეულზე მეტი ძირითადი საბრძოლო ტანკი T-72. მას ლიცენზიით აგებენ კიდევ ხუთ ქვეყანაში. ტანკი მსოფლიოში სულ მცირე 30 არმიას ემსახურება. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

ავტორების შესახებ:

მაიკლ გრინი თავისუფალი კორესპონდენტი, მკვლევარი და ფოტოგრაფია. მისი სპეციალიზაციაა სამხედრო საქმე, ტრანსპორტი და ძალადი სტრუქტურები. გამოცემული აქვს 80-ზე მეტი წიგნი. გარდა ამისა, სამხედრო საკითხებზე დანერვილი აქვს მრავალი სტატია საერთაშორისო და ადგილობრივი ეურნალ-გაზეთებისათვისაც.

ჯეიმს და ბრაუნი აშშ არმიისა მსახურობდა ჯავშნასატანკო სამსახურის ოფიცრად. მისი სპეციალიზაციაა კვლევები და განვითარება. ბრაუნი ოთხი წელი მუშაობდა საინჟინრო საქმის პროფესორის ასისტენტად აშშ სამხედრო აკადემიაში, სადაც ასწავლიდა საბრძოლო მანქანებსა და საავტომობილო ინჟინერებს.

კრისტოფ ვალიერი თავისუფალი ფოტოგრაფია. მისი სპეციალიზაციაა სამხედრო საქმე.

შინაარსი

შესავალი	8
ბრიტანული ტანკები	20
ფრანგული ტანკები	50
გერმანული ტანკები	74
ამერიკული ტანკები	106
რუსული ტანკები	142
სხვა ქვეყნების ტანკები	174
საძიებელი	192

შესავალი







შესავალი

ტანკი ჯავშნიანი, ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სამხედრო მანქანაა, რომელიც სახმელეთო საბრძოლო ფორმირებების დიდ მობილურობას და სიმძლავრეს უზრუნველყოფს. თუმცა ეს მხოლოდ მანქანის შესახებ ინფორმაციაა და ნამდვილად არ არის საკმარისი მისი აგებისთვის აუცილებელი პირობების აღსაწერად. მკაცრი განსაზღვრება იმისა, თუ რომელი მანქანაა ტანკი და რომელი არა, დღეისათვის არ არსებობს. ტანკის ყოველი მწარმოებელი თავისებურად აყალიბებს სადღეისო და სამომავლო მოთხოვნებს ტანკის მიმართ, მისი გამოყენების ტაქტიკას იმ ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სადაც ტანკს მოქმედება მოუწევს, წარმოებისა და ექსპლუატაციის თავისებურებებს, ასევე, თვითონ გამოითვისებს ტანკის სისწრაფისა და მანევრულობის მაჩვენებლებს.

ტანკის ისტორია თვითმფრინავისაზე ახალია. მისი ევოლუციის პერიოდი საუკუნეზე ნაკლებს ითვლის. ამ მოკლე პერიოდში გასაოცარი შედეგია მიღებული — დღეს ტანკი თითქმის უნივერსალური დიზაინის საბრძოლო მანქანაა მთელ მსოფლიოში.

არასპეციალისტს, რომელიც ტანკში ხედავს მხოლოდ მის ზოგად ფორმას — მუხლუხებიან მანქანას, რომელსაც ძრავა კორპუსის უკანა აქვს განთავსებული, შუაში ზარბაზნის კომპურა ადგას, მექანიკოსის განყოფილება კი წინა ნაწილშია ჩასმული სხვადასხვა მოდულებს შორის არსებული განსხვავებების დასახელება გაუჭირდება.

ამ წიგნის მიზანია აჩვენოს ტანკების ევოლუციის პროცესი, რომელიც ტანკის მწარმოებელმა სახელმწიფომმა გაიარეს. ამ პროცესის ერთ წიგნში ჩატევა საკმაოდ რთულია, ამიტომ ვეცადეთ გვეჩვენებინა ის ძირითადი ხაზი, რომელიც გასდევს თითოეული სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ძირითად ნიმუშებს. თანამედროვე ტანკის ისტორია მხოლოდ მოვლენების ქრონოლოგია არ არის. ამ იარაღის თითოეული ნიმუშის ისტორია, ადრეულიდან ყველაზე თანამედროვემდე, მჭიდროდაა გადაჯაჭვული მისი წინამორბედების საერთაშორისო ისტორიასთან.

მომდევნო თავებში ტანკების დიზაინს განვიხილავთ. პარალელურად დავალაგებთ და ერთმანეთს შევადარებთ ტანკების განვი-

ბრიტანული ტანკების უმრავლესობას, რომლებმაც | მსოფლიო ომი გამოიარეს, ერთიანი მუხლუხი პკონდათ, როგორც ამ „მარკ V“-ს. ტანკის მუზეუმი, ბოინგტონი

თარების ცალკეულ პერიოდებს. ამ პერიოდების აღწერა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს მიხედვას, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა მოდელები, გაეცნოს თითოეული ტანკის მახასიათებლებს და თითოეული ქვეყნის თვალსაზრისს საკუთარი ტანკების შესახებ.

იდეალური ტანკი უნდა იყოს მაქსიმალურად მობილური, ჰქონდეს საიმედო დაცვა და საცეცხლე სიმძლავრე, რომლითაც ნებისმიერ მტერს უნდა სძლიოს. თუმცა, ამ სამი პრინციპული კომპონენტის თავმოყრა ერთ მანქანაში საკმაოდ რთულია. მობილურობას მანქანის მცირე ზომა და წონა სჭირდება, მაგრამ ჯავშნიანი საფარი ტანკის ზომასა და წონას ზრდის, რაც მის მობილურობას ამცირებს. ცეცხლსასროლი

ქვემეხი ყველაზე დიდი, მძიმე და სანდო იარაღია, რომელიც ტანკს ბრძოლის ველზე ესაჭიროება. ტანკის დიზაინის წარმატებულობა განპირობებულია არა მხოლოდ ამ კომპონენტების ერთმანეთთან შეთანწყობით, არამედ იმით, თუ რამდენადაა დაცული თითოეული ეს მოთხოვნა დანარჩენ ორთან ერთიანობაში. უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები – საიმედოობა, იოლი ექსპლუატაცია და ეკონომიურობა ტანკის დიზაინის შექმნის პროცესში კონკურენტებად განიხილებიან. ტანკის კონსტრუირებისას ძირითადი ყურადღება ექცევა მისი ნაწილებისა და აგრეგატების განლაგებას, რათა მანქანამ უფრო დიდ ხანს გაძლოს ბრძოლაში და ჰქონდეს მაქსიმალური საცეცხლე ძალა. ბოლოს და ბოლოს, კარგი

II მსოფლიო ომში გამოყენებულ ზოგ ტანკს წინა კორპუსზე დიდი ქვემეხი, ხოლო კომკურაზე უფრო მომცრო ქვემეხი ჰქონდა დაამატებული. აშშ არმიის M3 სერიის სამუხალე ტანკი ამის მაგალითია. *ეროვნული არქივი*



მანქანის შექმნის ცდა განუწელი ხარჯების შესაფერისი უნდა იყოს.

ტანკის მობილურობამ უნდა დააკმაყოფილოს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური კუთხით. მოთხოვნები სტრატეგიული კუთხით ნიშნავს ტანკის გადატანის შესაძლებლობას მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში, სადაც ამის საჭიროება იქნება. ტანკს შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილდეს, თუმცა, უფრო ხშირად მისი გადატანა სხვა საშუალებებით – საზღვაო, სახმელეთო თუ საჰაერო ტრანსპორტით – ხორციელდება. როდესაც მობილურობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, მათ შორის, მანქანის მოლიანი ნონა და დანოლა გრუნტზე. სწორედ ეს ფაქტორებია მობილურობის ძირითადი განმსაზღვრელი. მწარმოებელი ხელმძღვანელობს იმ მახასიათებლებით, რომლებსაც დამკვეთი კარნახობს. ნებისმიერი გადახვევა ამ მოთხოვნიდან რისკთანაა დაკავშირებული. ტაქტიკური მობილურობა უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე სტრატეგიული. ამიტომ უფრო რთულია გავითვალოთ მისი პარამეტრები, მაგალითად, ბრძოლის ველი და ის გარემო, რომელშიც ტანკს მოუწევს მოქმედება. მეორე მხრივ კი, ტაქტიკური მახასიათებლები შეიძლება ისეთი ზოგადი იყოს, რომ მწარმოებელს საკმარისი ინფორმაცია ვერც კი მისცეს.

ტაქტიკურ მობილურობას განსაზღვრავს ტანკის დანოლა გრუნტზე, ძრავის ოპტიმალური სიმძლავრე და დაკიდება (სტაბილიზების მექანიზმი). გრუნტზე დანოლა მნიშვნელოვანია რბილ ნიადაგზე და ტალახში მანქანის გამავალუნარიანობის თვალსაზრისით. თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ტანკში გრუნტზე დანოლის შემცირების მიზნით მთლიანი

მუხლუხი გამოიყენება, რომელიც მანქანის თითოეულ მხარეზე ხუთ-შვიდ ბორბალს აერთიანებს. ამის მიზეზი არ არის მხოლოდ წესი, რომელიც ყველა სახელმძღვანელოში შეგხვდება, თითქოს ტანკს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მუხლუხი. სინამდვილეში მუხლუხი თანაბრად ანაწილებს ტანკის ნონას და, შესაბამისად, გრუნტზე დანოლაც ნაკლებია, ვიდრე შიშველი ბორბლით იქნებოდა. როცა ბორბლები ხუთზე ნაკლებია, ეს დანოლის ძალის არათანაბრად განაწილებას იწვევს, შვიდზე მეტი კი ბორბლების დიამეტრის შემცირებას მოითხოვს, რაც ბრუნვის დროს სახუნის ძალას ზრდის.

ძრავის ოპტიმალური სიმძლავრე უპირველესი საზომია იმისა, თუ რამდენად შეძლებს ტანკი სიჩქარის ცვლას და მის შენარჩუნებას დაბრკოლებების გადალახვისას. პოლიუდური წარმოადგენს ისაგან განსხვავებით, სადაც ტანკი უზარმაზარ ბეჭემოს ნააგავს, რომელიც სცენას დრამატულობას სძენს და მსახიობებს დილოგისათვის საკმარის დროს აძლევს, თანამედროვე ტანკი მარჯვე მანქანაა, რომლის სისწრაფე გამოუცდელ ადამიანს გააკვირვებს. ტანკის ე.წ. "შოკისმომგვრელი მოქმედება" მისი ძძლავრი ცეცხლსასროლი ძალის შედეგია. ასევე მნიშვნელოვანია ტანკის გამორჩენა ბრძოლის ველზე მანამ, სანამ მონინაალმდევე მოქმედებას დაიწყებდეს. სიჩქარე და მანევრულობა ტანკის სიცოცხლის ხანგრძლივობას უზუნველყოფს, რადგან მას მტრისთვის რთულ სამიზნედ აქცევს და მონინაალმდეგის მიერ ადექვატური გადაწყვეტილების მიღების დროს ამცირებს.

პირველი ტანკები ბენზინის ძრავით მუშაობდნენ, რადგან ეს იმ დროისათვის ყველაზე მსუბუქი ძრავა იყო. როცა შიგა წვის ტექნოლოგია განვითარდა, ბენზინის



საშუალო ტანკი „M4 შერმანი“ მონაწილეობას იღებს სახალხო ჩვენებაში. ის პაკონის კავალერიისა და შვიარადების მუზეუმის კუთვნილებაა. ამერიკულმა ქარხნებმა II მსოფლიო ომის დროს 50000-ზე მეტი ასეთი ტანკი გამოუშვეს. ჩუ სუ

ძრავა დიზელის ძრავამ და გაზის ტურბინამ შეცვალა. გაზის ტურბინით ნაწილობრივ ან მთლიანად აღჭურვილი ტანკი პირველად ბრძოლაში გამოიყენეს აშშ-მ, რუსეთმა და შედეგთმა, სხვა ქვეყნებმა კი მხოლოდ ექსპერიმენტულად გამოსცადეს. ტურბინები უფრო პატარა და მსუბუქია, ვიდრე დიზელის ძრავა. თუმცა, მათ ნაკლიცა აქვთ – პაერის მიწოდების მექანიზმის პრობლემები (რაოდენობრივადაც და ნაწნვის სისუფთავის მხრივაც), რაც სასწრაფო

ზომების მიღებას საჭიროებდა. პირიქული ელექტრული აგრეგატის უპირატესობა არა მხოლოდ მზაურისა და გამონაბოლქვის შემცირებაა, არამედ ის, რომ ასეთი აგრეგატი ძლიერ ელექტრულ წყაროს, და, შესაბამისად, იარაღის დატენვის ელექტრონული მექანიზმის გამოყენების საშუალებას იძლევა. მაგრამ თანამედროვე ელექტრული აგრეგატის წონა და მოცულობა, ასევე, მაღალი ფასი, კონსტრუქტორებს აიძულებს, ისევ დიზელის ძრავა ან გაზის ტურბინა

არჩიონ, რაც, სავარაუდოდ, ისევე უახლოესი მომავლის ტენდენცია იქნება.


დაკიდება უზრუნველყოფს ტანკის სტაბილურობას უსწორმასწორო ზედაპირზე გადაადგილებისას. მან არა მხოლოდ უნდა დაიცვას ეკიპაჟი ძლიერი რყევებისაგან, არამედ უზრუნველყოს მყარი საარტილერიო პლატფორმა და მანქანის განევის ძალის ბმულობა გრუნტთან. ეს მოთხოვნა იგულისხმება არა მხოლოდ დიდ მანძილზე გადაადგილებისას, არამედ ეფექტური დამუხრუჭების დროსაც. თითქმის ყველა თანამედროვე ტანკში გამოყენებულია ურთიერთგადაძვეთი ტორსიონის ძელი, რომლის ერთი ბოლო კორპუსის გასწვრივად დამაგრებული და გრძივ ბერკეტთან სრულდება. დაკიდება შეიძლება აგებული იყოს ჰიდროპნევმატური მოქმედების პრინციპზე, რომელიც კორპუსის სიმაღლეს ამცირებს, რადგან კორპუსის იატაკში ადგილს არ მოითხოვს. მაგრამ ასეთი დაკიდება ძვირია მონტაჟისა და მოვლის თვალსაზრისით, ამიტომ მას მხოლოდ სპეციალიზირებულ მანქანებში ან ტექნოლოგიის დემონსტრაციის დროს იყენებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ბორბლიანი მანქანა შთაბეჭდავ შედეგებს აჩვენებს გზებზე და მეტ-ნაკლებად რთულ ტერიტორიებზე, მთავარი ამოცანა — რომ ტანკმა გადალახოს რთული რელიეფი ტაქტიკურად საჭირო სიჭაბოტით და გაუძლოს ბრძოლის დროს მიღებულ დაზიანებას — განაპირობებს იმას, რომ ტანკის პროექტირებისას ძირითადი ხაზი უახლოეს მომავალში მაინც ნარმოდგენილი იქნება მთლიანი მუხლუხებით, შესაბამისი დაკიდებითა და ღიზელის ან ტურბინული ძრავით.

ჯავშნიანი საფარი თავდაპირველად შედგებოდა ერთიანი ფოლადის ნაჭრებისა-

გან ან დანაწევრებული ჯავშნის ფილებისგან. თანამედროვე ტანკის დიზაინში კომბინირებული ჯავშანი გვხვდება. ის იცავს მანქანას არა მხოლოდ ჯავშნის მასალის სპეციფიურობის გამო, არამედ გეომეტრიული ფორმებითა და შიდა ინტერიოს მონყობითაც კი. სამწუხაროდ, თანამედროვე დიზაინის ასეთი დეტალები მკაცრადაა გასაიდუმლოებული. თანამედროვე ტანკის ჯავშანი იმაზე მეტია, რაც გარეგნულად ჩანს. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ფოლადის სხვა, ჩვეულებრივი ნაწარმისაგან. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ ნახევარი მეტრის სისქის ფასადის ჯავშანი, რომელსაც ამერიკულ „აბრამსზე“ ან ბრიტანულ „ჩელენჯერზე“ ვხედავთ, აკაცილებით მეტია, ვიდრე ამავე სისქის უბრალო ფოლადის ფირფიტა. ამჟამად უახლესი ტექნოლოგიების სპეციალისტები კმნიან დამცავ სისტემას, რომელმაც მისკენ წამოსული ჭურვი მინამ უნდა გაანადგუროს, სანამ ის კორპუსს შეეხება. თანამედროვე ტანკებმა უკვე დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ მოძრაობისას გაანადგურონ ნებისმიერი ტანკსაწინააღმდეგო საბრძოლო შეიარაღება, გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებმტყორცნების, მართული რაკეტებისა და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ჩათვლით. ასეთი ძალის გამოყვანა სულ მალე მოსალოდნელია ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში.

ტანკის საცეცხლე სიმძლავრე თითქმის ყოველთვის ნარმოდგენილია მაღალი სწრაფმსროლელი ქვემებით, რომელიც ძლიერი ასაფეთქებელი მუხტის მეშვეობით მძლავრ ფეთქებად ჭურვებს გამოტყორცნის. იმის მიუხედავად, რომ ტანკის მწარმოებელმა თითქმის ყველა სახელმწიფომ სხვადასხვა დროს გამოიყენა ან ექპერიმენტულად გამოსცადა მართული ჭურვები,



ამჟ არმიის პასუხი ცივი ომის (1949-1991) პერიოდში საბჭოთა არმიის მძიმე ტანკებზე იყო მძიმე ტანკი M103 ძალიან გრძელი და ძლიერი 120 მმ ძირითადი ქვემეხით. პატონის კავალერიისა და შეიარაღების მუზეუმში

სხვადასხვა მიზეზების გამო ეს იარაღი ფართოდ მაინც არ დაინერგა. თანამედროვე სატანკო იარაღის დახვეწილობა და ცეცხლის მართვისა და მიზნის გასწორების რთული მექანიზმები მიგვანიშნებს, რომ ტანკს შეუძლია მოძებნოს და ესროლოს ნებისმიერ სამიზნეს, რომელიც მის მხედველობის არეში მოხვდება. მართლაც, თანამედროვე სატანკო იარაღი ჯაბნის საუკეთესო სასანაბერო იარაღს 1500 მეტრის დიაპაზონში და მოხვედრაც პირველივე გასროლით ხდება. იმის მიუხედავად, რომ ელექტრომაგნიტური იარაღი დიდი ხანია ვითარდება, ტრადიციული ქვემეხი, როგორც ჩანს, მაინც სატანკო შეიარაღების ოქროს სტანდარტად დარჩება უახლოეს წლებში.

როგორც თავადაც დარწმუნებით,


ამ წიგნში სხვადასხვა ათელის ნერტილის ერთმანეთთან შეკავშირებასა და ტანკების დიზაინის შესახებ საკუთარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გთავაზობთ. დააკვირდით განსხვავებულ ტენდენციებს და ნახავთ, როგორი განვითარება განიცადა ამ მანქანამ ათწლეულების მანძილზე. ტანკის ყველაზე გასაოცარი დიზაინერული კონცეფციაც კი გამოხატავს გამოცდილებას, მონინალმდეგის ძალის შეფასებასა და დიზაინერების მუდმივ მცდელობას, შექმნან მობილური, დაჯავშნული და ძლიერი ცეცხლსასროლი საბმელეთო ძალა.


(ქვემოთ) იაპონიის არმიის ძირითადი საბრძოლო ტანკი „ტაიპ 74“, რომლის გამოშვებაც 1974 წელს დაიწყო. ალქურვილია ბრიტანული წარმოების 105 მმ ძირითადი ქვემეხით, ზარბაზნის დახრილი კომპუ-
რითა და დაჯავშნული კორპუსით. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი




(შემდეგი გვერდი, ზემოთ) მშვიდობიანობისას გამართული წვრთნის დროს ამერიკელი საზღვაო ძა-
ლების შიომრები რუსული დიზაინის T-72 ძირითად საბრძოლო ტანკზე მუშაობენ. უცხოური წარმოების
ტანკზე ვარჯიში მათ შესაძლო მონინააღმდეგის სხვადასხვა მხარეს აცნობს. თავდაცვის ვიზუალური
ინფორმაციის ცენტრი

(შემდეგი გვერდი, ქვემოთ) დასავლეთგერმანული არმია ეყრდნობოდა ძირითადი საბრძოლო ტანკის
„ლეოპარდ II“-ის უპირატესობებს, რომელიც შეიარაღებულია ძლიერი და ზედმინეწით ზუსტი 120 მმ
ქვემეხით. XX საუკუნის 80-იან წლებში ამ ტანკით საზღვრებს იცავდნენ. კრაუს-მაფი





მანქანის მეოთხედი აშშ არმიის M60A3 ტანკის ლაზერულ მანძილზომში იხედება. მისი არტილერიისტი ზუსტად მის ქვეშ, წინა მხარეს, ტანკის წინ გამლილ მიდამოს უყურებს. თავდაცვის ვიზუალური ინფორმაციის ცენტრი





XX საუკუნის 80-იანი წლების მკორე ნახევარში ბრიტანულ სატანკო ტექნოლოგიაში მოფარი სიაბლე იყო ძირითადი ტანკი „ჩელენჯერ II“ 120 მმ ძირითადი ქვემეხით. მოგვიანებით ის „ჩელენჯერ II“-მა შეცვალა. ტანკის მუზეუმი, ბოინგტონი.

(მორე გვერდზე, ქვემოთ) დასავლეთერმანული „ლეოპარდ II“-ის ორეული, ცივი ომის პერიოდში შექმნილი ამერიკული ტანკი „აბრამსი“ ეს ძირითადი საბრძოლო ტანკი თავიდან აღჭურვილი იყო 105 მმ, შემდეგ კი 120 მმ ძირითადი ქვემეხით, რომელსაც ფოტოზე ვხედავთ. თავდაცვის დეპარტამენტი

ბრიტანული ტანკები







ბრიტანული ტანკები

დასავლეთი ევროპა I მსოფლიო ომის ადრეულ ეტაპზევე ფართო სანგრებით იქნა დასერილი, რომელთა გამო ბრძოლა ჩიხში შევიდა. ბრიტანელებმა ამ "სანგრების ჩიხის" არსებობა პირველებმა გააცნობიერეს და უკვე 1915 წლის ივნისში გადადგეს პირველი ნაბიჯები ჯავშნიანი მუხლუხიანი მანქანის შესაქმნელად. სწრაფადვე შეიქმნა პირველი ორი საექსპერიმენტო მოდელი: ყუთის მსგავსი მოდელი „ლითლ ვილი“ (Little Willy — პატარა ვილი), და რომბის ფორმის მანქანა „მაზერი“ (Mother — დედა). „დედის“ დიზაინიდან განვითარდა თითქმის 30-ტონიანი „მარკ I“, რომელმაც სათავე დაუდო კომპლექსური არმქონე მძიმე ტანკების სერიას. „მარკ I“ ბრძოლის ველზე პირველად 1916 წლის სექტემბერში მოხვდა. ბრიტანული არმია ომის განმავლობაში „მარკ I“-ს მუდმივად აუმჯობესებდა და გერმანელების წინააღმდეგ წარმატებით იყენებდა.

I მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის არმიის შორსმჭვრეტელმა წარმომადგენლებმა ტანკების განვითარებაზე ზრუნვა

განაგრძეს. თუმცა, სამწუხაროდ, ბრიტანული არმიის ხელმძღვანელობამ ტანკის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასა. ტანკის განვითარების მიმართ ასეთი ზერელე დამოკიდებულება ბრიტანულ არმიას II მსოფლიო ომის დასაწყისში, 1939 წლის სექტემბერში უარყოფითად დაუბრუნდა, როცა გააცნობიერა, რომ მისი სატანკო პარკი უნიათოდ შექმნილი მანქანებისაგან შედგებოდა, რომლებიც აძკარად ჩამოუვარდებოდნენ გერმანულ ანალოგებს და ამიტომ ბრძოლის ველზე ნამდვილად ვერ დაეყრდნობოდა.

მხოლოდ II მსოფლიო ომის მიწურულს, 1945 წელს გადაწყვიტა ბრიტანულმა არმიამ გამოეცადა ტანკი, რომელიც წარმატებით გაუმკლავდებოდა იმავე პერიოდის გერმანულ მანქანებს. ეს იყო ტანკი "ცენტურიონი" სამწუხაროდ, ის ძალიან გვიან შეიქმნა და მხოლოდ ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციას მოესწრო 1945 წლის მაისში.

იმ მიზნით, რომ „ცენტურიონი“ დასწავლავდა მის თანამედროვე, II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ მანქანებს, ბრიტანულმა

სურათზე ასახულ მანქანას „ლითლ ვილი“ ეწოდება. ის ყველა ბრიტანული ტანკის პირდაპირი წინაპარია. 1915 წლის სექტემბერში შექმნილი ეს ტანკი ბრძოლის ველზე არასოდეს გასულა, ის მხოლოდ მუხლუხის გამოსაცდელად და მართვის მექანიზმის დასახვეწად გამოიყენებოდა.

ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

არმაიმ და ტანკებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა მისი თითოეული ასპექტის მოდერნიზება გადაწყვიტეს. მოდერნიზაციის ამ ხანგრძლივმა პროცესმა საშუალება მისცა „ცენტურიონს“, ბრძოლის ველზე დარჩენილიყო 90-იანი წლების დასაწყისამდე, ამის შემდეგ კი ის უფრო თანამედროვე ტანკებით შეცვალეს.

„ცენტურიონის“ დამხმარე ძალად 50-იანი წლებში ბრიტანულმა არმიამ წარმოადგინა თითქმის 73-ტონიანი „ქონკერორი“ (Conqueror დამპყრობელი) – მძიმე ტანკი უზარმაზარი, 120 მმ ძირითადი ქვემეხით.

მისი ამოცანა იყო გამკლავებოდა რუსულ მძიმე ტანკებს, როგორც იყო „იოსებ სტალინი“ (IS-3), მოქმედების უფრო დიდ დიაპაზონზე, ვიდრე ეს 50-ტონიანი „ცენტურიონს“ შეეძლო. საშუალოდ, „ქონკერორს“ რამდენიმე ნაკლი ჰქონდა, რომელთა გამოსწორება ვერ მოხერხდა და ამიტომ ეს ტანკი 1966 წელს შეიარაღებიდან ამოიღეს. ეს ის წელი იყო, როცა ბრიტანეთის არმიამ ახალი მანქანა, „ჩიფტენი“ (Chieftain – ბელადი) გამოიწადა.

იმის მიუხედავად, რომ „ჩიფტენი“, „ქონკერორის“ მსგავსად, აღჭურვილი იყო 120 მმ

მძიმე ბანაი მარა I

სიგრძე:	10.16 მეტრი
სიგანე:	4.45 მეტრი
სიმაღლე	2.44 მეტრი
წონა:	34 ტონა
უკიპაჟი:	8
შეიარაღება:	ორი 57 მმ ქვემეხი და 4 ნ ცვეთამფრქვევი

ბრიტანეთის არმიის ტანკი „მარკ I“

გერმანიასთან ბრძოლაში პირველად 1916 წლის სექტემბერში ჩაერთო საფრანგეთში. უკან მიზმული ხის ბორბლები ტანკის მართვას უწყობდა ხელს.

ტანკის მუზეუმი, ბოინგტონი



ძირითადი ქვემეხით, მისი იარაღის ვერსია ახალშექმნილი და, შესაბამისად, უფრო მსუბუქი და ეფექტური იყო. „ჩიფტენის“ ცეცხლსასროლმა ძალამ და ჯავშანმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. თუმცა, ბრძოლაში გამოჩნდა, რომ მანქანას მობილურობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა, რაც დაკავშირებული იყო არასანდო დიზელის ძრავასთან.

1983 წელს „ჩიფტენი“ შეცვალა „ჩელენჯერმა“ (Challenger – მეტოქე), რომელსაც იგივე ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, თუმცა მისი ჯავშანი უახლესი დიზანისა იყო და საგრძნობლად უსწრებდა „ჩიფტენისას“ ცეცხლის კონტროლის სისტემის პრობლემების გამო 1990-იან წლებში „ჩელენჯერმა“ მოდიფიცირება განიცადა და გარდაიქმნა „ჩელენჯერ II“-ად, რომელიც თანამედროვე ბრიტანული სახმელეთო არმიის საყრდენი ტანკია.

„მარკ-II“ მცირე დიზაინერული დეტალებით განსხვავდებოდა „მარკ I“-საგან. ეს შემონახული მოდელი, რომელსაც მხოლოდ ტყვიამფრქვევები აქვს, „მდედრობითი“ ტიპის ტანკადაა კლასიფიცირებული. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



„მარკ-II“ მცირე დიზაინერული დეტალებით განსხვავდებოდა „მარკ I“-საგან. ეს შემონახული მოდელი, რომელსაც მხოლოდ ტყვიამფრქვევები აქვს, „მდედრობითი“ ტიპის ტანკადაა კლასიფიცირებული. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი




სურათზე ნაჩვენებია ორდანის აპმ არმიის მუზეუმში დაცული შიშიმე ტანკი „მარკ IV“ ნინა მოდელეების მსგავსად, ისიც მ-კაციან ეკიპაჟს იტევს. მაიკლ გრინი

„მარკ V“ უკანასკნელი რომბისებური დიზაინის ტანკი იყო, რომელიც ბრიტანულ არმიაში იბრძოდა I მსოფლიო ომის დროს. ტანკის თავზე მოთავსებული თეთრი ლითონის ნიშნებით ბრძანებებს გადასცემდნენ. ტანკის მუზეუმი, პოინტტონი

მუსლუსა ლენტი

ტანკზე დამაგრებულია პორტატული „ბილიკი“, რომელსაც მუხლუხა ლენტი ეწოდება. მოძრაობისას ტანკი ლენტს თავის წინ აფენს, გავლის შემდეგ კი ისევ კრებს. მუხლუხა ლენტი არის ქაპარი, რომელიც ერთმანეთში ჩამჯდარი, ერთმანეთთან ლითონის ქანჭიკებით გადაბმული ნაწილებისაგან შედგება.






1 მსოფლიო ომის დროს გერმანელების თავდაცვის ხაზის სუსტი წერტილების გამოყენების მიზნით ბრიტანულმა არმიამ ბრძოლის ველზე გამოიყვანა ეს მსუბუქი ტანკი „უიპელი“ (Whippet – პატარა კაცი). ტანკის მუზეუმი, ბოვივტონი

ადრეული ტანკების შიდა კომუნიკაცია

1 მსოფლიო ომში პირველ ბრიტანულ ტანკებს შიდა საკომუნიკაციო მოწყობილობები არ ჰქონდათ. თუ თანამებრძოლისთვის რაბის თქმა გინდოდათ, ყურში უნდა ჩაგეყვირათ. გამოიყენებოდა ხელის სიგნალებიც, რომლებიც მტერსა და სიბნელეში რთული აღსაქმელი იყო.

„მარკ“ სერიის მძიმე ტანკები საშუალო ტანკმა „ჰორნეტმა“ (Hornet – ბზიკი) შეცვალა. ბრიტანეთის არმიის შექვეთილი 6000 ცალიდან მხოლოდ 36-მა იხილა ბრძოლის ველი 1 მსოფლიო ომის დასრულებამდე (1918 წლის ნოემბერი). პატონის კავალერიის და შვიარლების მუზეუმი





1925 წელს აგებულ „ინდიფენდენტზე“ (Independent – დამოუკიდებელი) ხუთი დამოუკიდებელი, იარაღით აღჭურვილი მბრუნავი კომპარაა. ამ ტანკის სერიული წარმოება არ დასრულებულა, რადგან ბრიტანეთ-არმიას იმ დროს არ ჰქონდა, უახკის მეზღუემი, პოლიტკო

„ინდიფენდენტზე“ იაფი მანქანის მოდილინში ბრიტანულმა არმიამ „ვიკინგის“ ქარხნის მიერ წარმოებული 130 ერთეული საშუალო ზომის „მარკ III“ შეიძინა. „მარკ III“ 1925 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და II მს.აფლიო ომის დაწყებისას ჯერ კიდევ გამოიყენებოდა. ტანკის მეზღუემი, ბოფორტონი

„კიარსის“ ქარხნის საშუალო ბანაი „მარკ III“

სიგრძე	5.33 მეტრი
სიგანე	2.8 მეტრი
სიმაღლე	3 მეტრი
წონა	15 ტონა
ეკიპაჟი:	5
შეიარაღება:	47 მმ ქვემეხი და საში ეკვიპმენტქვეეი





XX საუკუნის 30-40-იან წლებში „ვიკერსის“ ქარხანა ბრიტანულ არმიას ტყვიამურქვევით აღჭურვილ „შარკ“ სერიის მსუბუქი ტანკებით ამარაგებდა. ფოტოზე ნარმოდგენილია „შარკ VI“ და მისი სამკა-
ქვაპატი. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

30-იან წლებში „ვიკერსმა“ ბრიტანული არმიის მსუბუქი ტანკებით მომ-
ბარაგებელმა, გადაწყვიტა ტანკები კომერციულ ბაზარზე გაეყიდა. მყიდვე-
ლებს შორის აღმოჩნდა შვედეთის არმია, რომლის ერთ-ერთი შენაძენსაც ამ ფოტოზე ვხვდავთ. ანდრეას კირხოფი




1937 წელს ბრიტანული არმიის ექსპლუატაციაში შევიდა კრეისერი ტანკი „მარკ I“. მას საში კომპურა ჰქონდა. მათგან ყველაზე დიდზე დამაგრებული იყო 40 მმ ძირითადი ქვემეხი, დანარჩენი ორი კი მხოლოდ ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

ბირჰანაჰეპი და ღუიშეპი

II მსოფლიო ომამდე, ომის დროსაც და მის შემდეგაც იარაღის აღსანერად ბრიტანული არმია ხშირად გამოხატავდა იარაღიდან გასროლილი ქურვის დაახლოებით ნონას გირვანქებში. ეს იარაღი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი – ტანკის, ტანკსაინაღმდეგო თუ არტილერიის კლასისა. ამჟამად არმია თავის იარაღს აღწერს ღუიშის ზომით, მილიმეტრებში ან დუიშებში, ისე, როგორც მსოფლიო არმიების უმრავლესობა.






კრეისერი ტანკი „მარკ II A CS“ „მარკ I“ -ის გაუმჯობესებული ვერსია იყო. 40 მმ ძირითადი ქვემეხის ნაცვლად, ის თავს იწონებდა 94 მმ პალუჩიკით. ის ბრიტანული არმიის შეიარაღებაში 1940 წელს შევიდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

(მეორე გვერდი, ზემოთ) 1934 წელს ბრიტანულმა არმიამ გადანაცვლა, რომ სჭირდებოდა ქვეითი ჯარის დამხმარე სახლო ტანკი. ეს ტანკი შეიარაღებაში 1937 წელს შევიდა. მას „მატილდა I“ ერქვა. ამ ორკაციან ტანკს ერთი ტყვიამფრქვევეი ჰქონდა, როგორც ეს ასახულია ფოტოსურათზე. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

(მეორე გვერდი, ქვემოთ) „მატილდა I“ შეცვალა უფრო დიდმა და მძიმე „მატილდა II“-მა, ან უბრალოდ „მატილდამ“, რომელიც აღჭურვილი იყო 40 მმ ძირითადი ქვემეხით და ერთი ტყვიამფრქვევეით. მისი წარმოება 1937 წელს დაიწყო და 1943 წლამდე გაგრძელდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

უდაბნოს კამუფლაჟი
 ზოგი ბრიტანული ტანკი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში იბრძოდა, შექმნილია „შირაჟის“ ან „უდაბნოს ცილის“ კამუფლაჟით, სადაც კომბინირებულია ცისა და მიწის ფერები. ამ კამუფლაჟის მიზანი ის იყო, რომ შორს მყოფი ტანკი შეერეოდა სიციხის ცილას, რომელიც უდაბნოში მიწისა და ცის საზღვარზე წარმოიქმნება.





„მატილდა“ –

ქვეითი ჯარის დამხმარე ტანკი

სიგრძე:	5,6 მეტრი
სიგანე:	2,6 მეტრი
სიმაღლე:	2,52 მეტრი
წონა:	10 ტონა
უკიპაი:	4
შეიარაღება:	40 მმ ქვემეხი და ერთი ტყვიამფრქვევი

ფოტოზე ნაჩვენებია ქვეითთა დამხმარე ტანკის „მატილდას“ ქოშკურის შიდა ხედი მეთაურის ზედა ლუკიდან. მხედველობის არეში მოქცეულია მეთაურისა და არტილერისტის ადგილები. მაიკლ გრინი

ეს კამუფლაჟიანი „კრეისერი მარკ IV“ 1940 წელს ბრიტანული არმიის პირველ ჯაგშნიან დივიზიას ეკუთვნოდა. ის აღჭურვილი იყო 40 მმ ძირითადი ქვემეხით. იბრძოდა საფრანგეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 1940 და 1941 წლებში. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი





1940 წელს ბრიტანეთის
„კოვენანტერი“ (Covenanter)
ეს ტანკი II
მუზეუმი, ბოვისკუ


აკრეფავს V-
მეწარმეობის) ვს ავტობის დამცველი მცკლამაზ
პერიოდში სწოისების ტრის გამოიყენებოდა.

III Crusader

რეზი იმავე ნაზი

აქვს 57 მმ ძირითადი
ქვესეხი და ორი ტვირთ-
ფრეევი ის პარველად
1942 წელს გამოიყენეს
ტანკის თუ ზეუმი, ბოვისკ
ტონი





„ეალენტინ III“-ს პყაედა ოთხკაციანი ეკიპაჟი და შეიარალებული იყო 40 მმ ძირითადი ქვეშეზისა და ერთი ტყვიამფრქვევით. „ეალენტინ“ სერიის პირველი ტანკი 1940 წელს შეიქმნა, სერიის წარმოება კი 1944 წელს შეწყდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



ბრიტანული ტანკის „ტეტრარქ VII“-ის ბორტზე დამაგრებული იყო 40 მმ ძირითადი ქვეშეზი და ერთი ტყვიამფრქვევი. 1944 წლის 6 ივნისს საფრანგეთში გადასხდომისას ეს ტანკები გერმანელთა ზურგში გადაისროლეს. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

სურათზე ჩანს ქვეითი ჯარის ტანკი „მარკ IV“ „ჩერჩილ I“ ის აღჭურვილია მბრუნავ კომპურაზე დამაგრებული 40 მმ ქვემეხითი და 76 მმ პაუბიკით ეორპუსის წინა მხარეს. ტანკი ბრიტანეთის ჯარში პირველად 1941 წლის იენისში გამოჩნდა. ფილ პატნერი

საიდან გავჩნდა “ჩერჩილი” ტანკის სახელწოდებაში?


ბრიტანულმა არმიამ ტანკს ასე სერ უინსტონ ჩერჩილის, ბრიტანელი პოლიტიკოსისა და 1940-1945 წლებში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად უწოდა. სწორედ მან მიიყვანა ქვეყანა გამარჯვებამდე II მსოფლიო ომში.





II მსოფლიო ომის მსვლელობისას ბრიტანულმა არმიამ „ჩერჩილის“ სერიის ტანკებია გაუმჯობესება გადაწყვიტა. ფოტოზე ნაჩვენებია „ჩერჩილ VII“ 75 მმ ძირითადი ქვემეხით. ტანკის მუზეუმი, ბოვინგ-ტონი


ბევრი ბრიტანული ტანკის, მაგალითად, ამ „ჩერჩილ VII“-ის ეკიპაჟი II მსოფლიო ომის მეორე ნახევარში ტანკსანიანალმდეგო ყუმბარებისაგან დაცვის მიზნით ტანკზე მუხლუბების ფრაგმენტებს ადუღებდა. პატონის კავალერიისა და შეიარაღების მუზეუმი



ჩერჩილ VII	
სიგრძე:	7,44 მეტრი
სიგანე:	3,25 მეტრი
სიმაღლე:	2,5 მეტრი
წონა:	45 ტონა
ეკიპაჟი:	5
შეიარაღება:	75 მმ ქვემეხი და ორი ცყვიამფრქვევი



მოდულიზირებული „ბლექ პრინსი“ (Black Prince შავი პრინცი), „ქერსილის“ სერიიდან, გვიან გამოვიდა და ამიტომ II მსოფლიო ომში მონაწილეობა ვერ მიიღო. ის შეიარაღებული იყო 76,2 მმ სირითადი ქვემეხით. სულ მხოლოდ ექვსი ასეთი ტანკი დამზადდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



1940 წელს ტანკების სიმცირემ ბრიტანეთის მთავრობას უზიშგა, ამერიკული M3 სერიის მოდიფიცირებული ვერსია შეეკვეთა. ეს იყო სამუდამო ტანკი ბრიტანული წარმოების კომპლურით. მან ოფიციალური მეთსახელიც მიიღო – „გენერალი გრანტი“ ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი ბრიტანელი ტანკისტები M4 სერიის საშუალო ტანკის ბორტზე ადიან, რომელსაც მეტსახელად „შერმანი“ უწოდებდნენ. ბრიტანულმა არმიამ პირველი „შერმანი“ 1942 წლის აგვისტოში მიიღო და 1944 წლის დეკემბრამდე 15000-ზე მეტ ასეთ ტანკს იყენებდა. პატონის კავალერიისა და შვიარალების მუხუშეში

ტანკის დამიზნების საშუალებები

ტანკის არტილერიისტი, ტრადიციულად, ობიექტს ოპტიკური სამიზნე ხელსაწყო საშუალებით უმიზნებს, რომელიც ობიექტის გამოსახულებას ადიდებს. ამავე დროს ის ხედავს სამიზნე ნიშანს დასამიზნებელ ხელსაწყოში. ის ზუსტად ადებს სამიზნე ნიშანს ობიექტზე და ამით შეუძლია გაავლოს სწორი ხაზი სამიზნიდან მიზნამდეა



ბრიტანულმა არმიამ „შერმანის“ ზოგი მოდელი 75,2 მმ ძირითადი ქვემეხით შუაიარაღა, რათა ომის მეორე ნახევრის გერმანული ტანკების სქელი ჯავშანი გაერღვია. ზოგჯერ ამ ტანკს „ფაირფლაისაც“ ეძახდნენ (Firefly – ციციანთელა). დევიდ მარიანი




ამერიკული წარმოების M10 გამანადგურებელი ტანკის (თავიდან შეიარაღებული იყო 76 მმ ძირითადი ქვემეხით) საბრძოლო ეფექტურობის გასაზრდელად ბრიტანულმა არმიამ მასზე დაამატა ასეთივე კალიბრის 17-გირვანქანი (7,7-კილოგრამი) ძირითადი ქვემეხი და მას „M10C 17-გირვანქანი“ უწოდა. კრისტოფერ ვალიერი.

„კრომველი“ II მსოფლიო ომის მინურულს ბრიტანული არმიის ყველაზე მნიშვნელოვანი ტანკი იყო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ბრძოლების დროს. ფოტოზე ნაჩვენებ ვერსიას 75 მმ ძირითადი ქვემეხი აქვს. მაიკლ გრინი



ბრიტანული ტანკები




(ნინა გვერდი, ზემოთ) ბრიტანული არმიის კრეისერი ტანკი „კომეტა“ შეიარაღებული იყო დამოკლებული 76,2 მმ ძირითადი ქვემეხით. ის II მსოფლიო ომის მინურულს გამოჩნდა. „კომეტა“ ძირითადად, გადაიარაღებული „კრომველი“ იყო. „კომეტამ“ ომის ბოლომდე იმსახურა, მერე კი ის „ცენტურიონმა“ შეცვალა. კრისტოფერ ეალიერი

(ნინა გვერდი, ქვემოთ) იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი 17-გირვანქიანი ძირითადი ქვემეხით აღჭურვილი ტანკი შეეყვანა მოქმედებაში, ბრიტანულმა არმიამ შექმნა ტანკი, რომელშიც „კრომველის“ უამრავი კომპონენტი გამოიყენა. ამ მანქანას „ჩელენჯერი“ დაერქვა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

ჯავშნის ბანაბება

ფოლადის ჯავშანი მძიმეა და მისი ნონა ტანკის მოძრაობას ზღუდავს, ამიტომ არსებობს ნონის ლიმიტები. ტანკის დიზაინერები ყველაზე სქელ ჯავშანს იმ ადგილებში ათავსებენ, სადაც ბრძოლაში დაზიანების ყველაზე დიდი საშიშროებაა. ეს ადგილებია ტანკის წინა კოშკურა და კორპუსი.




ფოტოზე გამოსახულია ებრაული არმიის მუზეუმში დაცული, II მსოფლიო ომის შემდგომი ბრიტანული ტანკი „ჩერიოტერი“ (Charioteer – მეტლე) – ტანკების გამანადგურებელი. ის შედგება „კრომველის“ კორპუსისაგან, რომელზეც დამაგრებულია 83,4 მმ ძირითადი ქვემეხით აღჭურვილი ახალი კოშკურა. რობერტ მანანერობი



1943 წელს დაპროექტებული „ცენტურიონის“ პირველი ექვსი ეგზემპლარი კონვეირიდან მხოლოდ 1945 წლის მაისში ჩამოვიდა. ფოტოზე გამოსახული ეგზემპლარი არის „მარკ III“, 83,4 მმ ძირითადი ქვემეხით. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

„ცენტურიონ III“

სიგრძე ძირითადი ქვემეხის ჩათვლით:	9,85 მეტრი
სიგანე:	3,3 მეტრი
სიმაღლე:	3 მეტრი
წონა:	57 ტონა
უკიპაქი:	4
შეიარაღება:	83 მმ ქვემეხი და ორი ცყვიამფრქვევი



4000 გამოშვებული „ცენტურიონიდან“ სახევარზე მეტი სივრცეა ქვეყნების შეიარაღებაში წავიდა. ფოტოზე გამოსახული „ცენტურიონი“ ინდოეთის არმიას ეკუთვნის და აღჭურვილია 105 მმ ძირითადი ქვემეხით, პატონის კავალერიისა და შეიარაღების მუზეუმი



„ცენტურიონის“ ეს გვიანი მოდელი, 105 მმ ძირითადი ქვემეხით, მედლური არმიის კამუფლაჟით იწონებს თავს. ლითონის დიდი ყუთები ტანკის კორპუსისა და კოშკურის წინა ნაწილზე აფეთქების სანინააღმდეგო გაუმჯობესების ფილტვია. დევიდ მარიანი



ტანკის მუხლუხის დანიშნულება

მუხლუხი ანაწილებს ნიადაგზე ტანკის დანოლის ძალას. რაც უფრო მიძიმეა ტანკი, მით უფრო ფართო უნდა იყოს მუხლუხი, რათა ტანკმა შეძლოს ფხვიერ ნიადაგზე მოძრაობა. ადრეული (I მსოფლიო ომის პერიოდის) ტანკების მუხლუხის სიციცხლის ხანგრძლივობა 30-100 კილომეტრი იყო. თანამედროვე ტანკის მუხლუხი კი დაახლოებით 5000 კილომეტრს ძღვება.



(ნინა გვერდი, ზემოთ) როცა ტანკები ძველდება, მათ სხვა ამოცანებისთვის იყენებენ. ფოტოზე გამო-
სახული ბრიტანული „ცენტურიონი“ ქვეითთა ტანკსანინალმდეგო ყუმბარმტყორცნების სამიზნედ
გადაკეთდა. ფილ ჰატჩერი

(ნინა გვერდი, ქვემოთ) II მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი და მძიმე ტანკი იყო ბრიტანული „კონ-
ქერორი“, 120 მმ ძირითადი ქვემუხით. ის პირველად 1956 წელს გამოჩნდა და 60-იანი წლების დასაწყ-
ისამდე იმსახურა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

„კონქერორი“ _ მძიმე ბანაი

სიგრძე ძირითადი ქვემუხის ჩათვლით:	11,58 მეტრი
სიგანე:	4 მეტრი
სიმაღლე:	3,35 მეტრი
წონა:	73 ტონა
ეკიპაჟი:	4
შეიარაღება:	120 მმ ქვემუხი და ერთი ცყვიამფრქვევი

ეს ტანკი მონაწილეობას იღებს ინდური არმიის ვიჯაანტას (გამარჯვების) ალლუმში. ეს არის ძირითა-
დი საბრძოლო ტანკი 105 მმ ძირითადი ქვემუხით. ის წარმოებულია ბრიტანული ფირმის "ვიკერსის"
მიერ. ინდურმა არმიამ 2200 ასეთი ტანკი შეიძინა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



ბრიტანულმა არმიამ 50-იანი წლების დასაწყისში „ცენტურიონის“ შეცვლა გადაწყვიტა. ძირითად შემცველად იქცა ბრიტანული წარმოების 120 მმ ძირითადი ქვემეხით შეიარაღებული ტანკი „ჩიფტენი“ ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



(შემდეგი გვერდი, ზემოთ) გერმანიის გაერთიანებამდე (1989 წელს) ბრიტანული არმიის სატანკო ბაზა დასავლეთ ბერლინში მდებარეობდა. აქ დაბანაკებულ „ჩიფტენებს“ ჰქონდათ ურბანულ გარემოში ბრძოლისათვის მისადაგებული კომუფლაჟი, როგორც ამას ფოტოზე ვხედავთ. თავდაცვის ვიზუალური ინფორმაციის ცენტრი

(შემდეგი გვერდი, ქვემოთ) მზევრავ მანქანად კლასიფიცირებული „სკორპიონი“ (Scorpion – მორიელი) მსუბუქი ტანკია, 76 მმ ძირითადი ქვემეხითა და ერთი ტყვიამფრქვევით. მას ბრიტანული არმია 1973 წლიდან საუკუნის მინურულამდე იყენებდა. მაიკლ გრინი





„ჩელენჯერ I“-მა, რომელსაც ფოტოზე ვხედავთ, ბრიტანული არმიის რიგებში „სოფტენი“ ჩაანაცვლა. წინამორბედის მსგავსად 120 მმ ძირითადი ქვემეხით აღჭურვილი „ჩელენჯერი“ გაუმჯობესებული მობილურობითა და ჯავშნით გამოირჩევა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

(შემდეგი გვერდი, ზემოთ) „ჩელენჯერ I“-ის გაუმჯობესებული ვერსია ბრიტანულ არმიაში 1994 წელს გამოჩნდა. მას „ჩელენჯერ II“-ს უწოდებენ. ამ ტანკის უკანასკნელი 386 ერთეული ბრიტანული არმიის შეიარაღებაში 2002 წელს შევიდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

(შემდეგი გვერდი, ქვემოთ) „ჩელენჯერ II“, რომელსაც ფოტოზე ვხედავთ, აღჭურვილია პასიური დაჯავშნული პერანგით გვერდებზე, დაკიდების სისტემის გასწვრივ, და აფეთქების საწინააღმდეგო ჯავშნის ფილებით კორპუსის წინა მხარეს. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი



„მალენჯარ II“

სიგრძე.

8,33 მეტრი

სიგანე.

3,52 მეტრი

სიმაღლე

2,49 მეტრი

წონა.

69 ტონა


უჩიპაეი.

4

მეიარაღება.

120 მმ ქვემეხი და ორი ტყვიამურქვევი







საფრანგეთისა და ბრიტანეთის არმიებში ტანკის გამოყენების იდეა თითქმის ერთდროულად გაჩნდა. ხელმძღვანელობის აზრით, ტანკი დასავლეთ ფრონტზე გაჩაღებული ე.წ. „სანგრების ომის“ შედეგად გამოწვეულ ჩიხს გადალახავდა. ბრიტანული არმია ორიენტირებული იყო კომპიურის არმქონე ტანკების წარმოებაზე, რომელთა ფუნქცია მტრის სანგრის გადალახვა და შეტევაში ქვეითი არმიის დახმარება უნდა ყოფილიყო. ფრანგული არმიის კომპიურის არმქონე მძიმე ჯავშნიანი ტანკები, სახელწოდებით „შნაიდერი“ და „სენ-შამონი“, მხოლოდ საარტილერიო მანქანები იყო და ძალიან მძიმე დანაკლისს განიცდიდა გერმანული ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მხრიდან. ეს ტანკები ბრიტანულ ანალოგებს ბევრად ჩამოუვარდებოდა, რადგან სანგრის გადალახვისთვის საჭირო მობილურობა აკლდა.

1 მსოფლიო ომში მძიმე ტანკების წარმოების ფრანგულმა პროგრამამ მარცხი განიცადა, მსუბუქი ტანკების წარმოების პროგრამა კი, რომლის განხორციელება 1916 წლის ზაფხულში დაიწყო, უფრო წარმატე-

ფრანგებმა თავიანთი ექვსკაციანი ტანკი „შნაიდერი“ 1916 წელს შექმნეს, თუმცა ბრძოლის ველზე 1917 წლის აპრილამდე არ გასულა. თხელი ჯავშნისა და უგზობისას მსუბუქი მოძრაობის გამო ეს ტანკი არაეფექტური გამოდგა. კრისტოფერ ვალიერი

ბული გამოდგა. დაიწყო ფრანგული მსუბუქი ტანკების მოდელის განვითარება, რამაც შედეგად ორკაციანი FT-17 ტიპის ტანკი მოიტანა. ფრანგული მსუბუქი ტანკები წინამორბედებისაგან პირველ რიგში იმით განსხვავდებოდნენ, რომ 360 გრადუსით მბრუნავი კომპიურა ჰქონდათ, რომელზეც იარაღი იყო დამაგრებული. უფრო ადრეულ ტანკებზე იარაღი კორპუსში იყო დამაგრებული და, შესაბამისად, იარაღის მობრუნების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.


FT 17-ის პირველი პროტოტიპი 1917 წლის დასაწყისში გამოვიდა. მაგრამ სერიული წარმოების დაგვიანების გამო ბრძოლაში მისი ჩართვა 1917 წლის მაისამდე არ მოხერხდა. საფრანგეთის არმიის მიერ შეკვეთილი 7820 ტანკიდან 1918 წლის ნოემბრამდე ანუ 1 მსოფლიო ომის დასასრულამდე დაახლოებით ნახევარი შეიქმნა. იმის მიუხედავად, რომ FT 17-ის დანარჩენი რაოდენობის დამზადება შეწყდა კონფლიქტის დასრულების მიზეზით, ის საფრანგეთის არმიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტანკად დარჩა. FT-17 საფრანგეთის არმიას 30-იან წლებამდე

ემსახურებოდა.

ისტორიულ მტერთან, გერმანიასთან საბრძოლველად დასაყრდენი ძალი ახალი თაობის ტანკები რომ სჭირდებოდა, საფრანგეთის არმია ესპანეთის სამოქალაქო ომის დროსაც დარწმუნდა, რომელიც 1936-1939 წლებში მიმდინარეობდა და რომელშიც ტანკები აქტიურად გამოიყენებოდა. საფრანგეთის ბიუჯეტში 1935 წელს საგრძნობი თანხა გამოიყო ახალი მსუბუქი, საშუალო და მძიმე ტანკების დასაპროექტებლად და წარმოებაში ჩასაშვებად. თუმცა, საფრანგეთის არმიაში ახალი ტანკების მასობრივი გამოჩენა მხოლოდ 1940 წელს დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ პროექტირების დაჩქარებამ ტექნიკური უზერხულობები გამოიწვია, მაგალითად, ერთკაციანი კოშკურა, ფრანგულ ტანკებს მაინც უკეთესი ჯავშანი და შეიარაღება ჰქონდა, ვიდრე მათ გერმანულ ანალოგებს.

1943 წელს ფრანგული არმიის ქვედანაყოფებმა ამერიკული წარმოების ტანკები მიიღეს. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საფრანგეთის არმია განაგრძობდა ამერიკული წარმოების და გერმანელების მიერ მის ტერიტორიაზე დარჩენილი ტანკების გამოყენებას, სანამ თავად დაიწყებდა საკუთარი, განახლებული ტანკების დიდი რაოდენობით შექმნას. ახალი ფრანგული ტანკის პირველი

მძიმე ტანკი „მნაიდერი“ ტრაილერზე აჰყავთ, რათა საფრანგეთის არმიის ბაზაზე გადაიყვანონ. 16-ტონიანი ტანკის მაქსიმალური სიჩქარეა 8 კილომეტრი საათში. ტანკის მუზეუმი, ბოვინგ-ტონი



ეგზემპლარი 50-იან წლებში გამოჩნდა AMX-13-ის სახით. ეს იყო მსუბუქი ტანკი 75 მმ ძირითადი ქვემეხით. 60-იანი წლების მიწურულს საფრანგეთის არმიაში მიიღო AMX-30, მსუბუქი ტანკი 105 მმ ძირითადი ქვემეხით.

თანამედროვე ფრანგულ ძირითად საბრძოლო ტანკს „ლექლერკი“ ეწოდება, II მსოფლიო ომის მონაწილე ფრანგი გენერლის პატივსაცემად. ტანკი აღჭურვილია 120 მმ ძირითადი ქვემეხითა და 22-ჭურვიანი ავტომატური მტერთაღი მოწყობილობით და წუთში 12 ჭურვის გასროლა შეუძლია. ტანკის კონსტრუქციაში ავტომატური მტერთაღი მოწყობილობის შეტანამ ეკიპაჟის რაოდენობა სამ კაცამდე შეამცირა: მეთაური, არტილერისტი და მძღოლი.


„ლექლერკის“ მეთაური და არტილერისტი იყენებენ რთულ, კომპიუტერულად მართულ ცეცხლის კონტროლის სისტემას, რომელიც კომბინირებულია სტაბილიზირებული დამიზნების სისტემასთან. ეს სისტემები პირველი გასროლით მიზანში მოხვედრის მაღალ ალბათობას უზრუნველყოფს. ძალიან დაბალ სილუეტსა და თანამედროვე ფორმის ჯავშანთან ერთად „ლექლერკს“ აქვს თავდაცვის სისტემა, რომელიც ინფრანითულ და ელექტრომაგნიტურ სხივებს ასხივებს მისკენ მომავალი ტანკსანიანაღმდეგო ჭურვის ასაცილებლად.



ფრანგულმა მძიმე ტანკმა „სენ-შამონმა“ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა პირველად 1917 წლის მაისში მიიღო, თუმცა ნარმატებას ვერ მიაღწია, რადგან გერმანული ფართო სანგრების გადალახვა ვერ შეძლო. კრისტოფერ ვალიერი

„სენ-შამონი“

სიგრძე ძირითადი ქვეშის ჩათვლით:	8,68 მეტრი
სიგანე:	2,67 მეტრი
სიმაღლე:	2,36 მეტრი
წონა:	24 ტონა
უკიპაი:	8
შეიარაღება:	75 მმ ქვეშეხი და ოთხი ტყვიამფრქვევი



ამ ფოტოზე გამოსახულია მძიმე ფრანგული ტანკის, „სენ-მამონის“ ადრეული პროტოტიპი. მისი მაქსიმალური სიჩქარე იყო 8 კილომეტრი საათში, ოთხცილინდრიანი ბენზინის ძრავის სიმძლავრე კი 90 ცხენის ძალას აღწევდა. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი

მძიმე ტანკების „სენ-მამონისა“ და „შნაიდერის“ გამოცდისას განცდილმა იმედგაცრუებამ საფრანგეთის არმია აიძულა ყურადღება მსუბუქ ტანკ „რენო FT-17“-ზე გადაეტანა, რომელიც ბრძოლაში პირველად 1918 წლის მაისში გამოსცადეს. ტანკის მუზეუმი, ბოვინგტონი







ფრანგულმა ქარხნებმა I მსოფლიო ომის ბოლო ორ წელიწადში 3000-მდე „რენო FT-17“ გამოუშვეს. ეს თითქმის 7,5-ტონიანი ტანკები 1940 წლის ზაფხულამდე გამოიყენებოდა. კრისტოფერ ვალიერი

ფრანგული ტანკების მამა

არტილერიის პოლკოვნიკი (შემდეგ კი გენერალი) ბატისტ ესტიენი იყო ის ადამიანი, ვინც ფრანგულ არმიას I მსოფლიო ომში მძიმე და მსუბუქი ტანკების გამოყენებისაკენ უბიძგა. თავად ესტიენს ტანკის არც ერთი დეტალი არ გამოუგონია, მაგრამ სწორედ ის იყო ჩანაფიქრის ავტორი.



77-ტონიანი „მარ 2C“ საფრანგეთის არმიამ I მსოფლიო ომის მიწურულს გამოიწერა, თუმცა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ის 30-იან წლებში გააუმჯობესეს, II მსოფლიო ომის დროს კი გერმანელებმა ამ მოდელის ყველა ტანკი გაანადგურეს. ტანკის მუზეუმი, ბოიენცონი



მხოლოდ ერთი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი მსუბუქი ტანკი „რენო AMR-33“ გამოხატულებაა ფრანგული არმიის სურვილისა, მკონოდათ კავალერიის დამხმარე მშვერავი ტანკი. ის არმიამ 1934 წელს გამოიწერა. კრისტოფერ ვალიერი





„ჰოჩის H39“ მხოლოდ და მხოლოდ გადაიარაღებული „ჰოჩის H35“ მსუბუქი ტანკი იყო, რომელსაც უფრო მძლავრი ძრავა ჰქონდა. ორივე ტანკი 37 მმ ძირითადი ქვემეხით იყო აღჭურვილი. კრისტოფერ ვალიერი.

(ნინა გვერდი, ზემოთ) 30-იან წლებში კომპანია „რენომ“ გადაწყვიტა ვაეკეთებინა ახალი მსუბუქი ტანკი, რომელიც ფრანგული არმიის საჭიროებებს უსადაგებოდა. ეს იყო სამკაციანი AMC 35, 25 მმ ან 47 მმ ძირითადი ქვემეხით. კრისტოფერ ვალიერი.

(ნინა გვერდი, ქვემოთ) 30-იან წლებში საფრანგეთის არმიამ გადაწყვიტა ერთი მოდელის მსუბუქი ტანკის ნაცვლად გამოეყენებინა რამდენიმე მოდელი, მათ შორის „ჰოჩის H35“, რომელიც ფოტოზეა გამოსახული. თომას ანდერსონი

ტანკის ფორმა
I მსოფლიო ომის პერიოდის ფრანგული მსუბუქი ტანკი FT 17 ყველა მომდევნო ტანკის დიზაინსა და სტრუქტურის ფუძემდებელი იყო ის შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: მართვის განყოფილება ტანკის კორპუსის წინა მხარეს, ცენტრალურ ნაწილში ცეცხლსასროლი განყოფილება, რომელსაც თავზე ედგა 360 გრადუსით მბრუნავი კომპურა ზედ დამაგრებული ძირითადი იარაღით, და სამანქანე განყოფილება ტანკის კორპუსის უკანა ნაწილში.

მსუბუქი ტანკი „რენო R-35“ გარეგნულად თითქმის ისეთივეა, როგორც მსუბუქი ტანკები „პოჩის H35“ და „პოჩის H39“ 1940 წლის ზაფხულში, როცა გერმანია საფრანგეთში შეიჭრა, საფრანგეთის შეიარაღებაში თითქმის 2000 ასეთი ტანკი იყო. კრისტოფერ კალიერი



მსუბუქი ტანკი „რენო R-35“


სიგრძე:	4,2 მეტრი
სიგანე:	1,85 მეტრი
სიმაღლე:	2,36 მეტრი
წონა:	11 ტონა
ეკიპაჟი:	2
შეიარაღება:	37 მმ ქვემეხი და ერთი ცყვიამფრქვევი



1939 წელს საფრანგეთის არმიამ შეიძინა ორკაციაანი მსუბუქი ტანკი FCM 36. ამ 12-ტონიანი ტანკის შეიარაღება შედგებოდა 37 მმ ძირითადი ქვემეხისა და ერთი ტყვიამფრქვევისაგან. კრისტოფერ ვალიერი



